დანართი N1

დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 1 აპრილის N2/49 ბრძანებით
ცვლილებები შესულია რექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N2/193 ბრძანებით
ცვლილებები შესულია რექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის N2/171 ბრძანებით
ცვლილებები შესულია 2024 წლის 01 აპრილის N2/39 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი(2022-29 წწ) გეგმა

2022წ

ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (BTA) დაფუძნებულია 30 წლიანი საგანმანათლებლო გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც 2014 წელს მიენიჭა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დღეისათვის ახორციელებს პრიორიტეტული მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია:

- 2015 წელს ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამა, რისთვისაც გადაეცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მადლობის სიგელი.
- კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში 2016-17 წლებში 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით 5 ვარსკვლავით.
- 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიენიჭა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული;
- 2019 წლის დეკემბერში გახდა ISO 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი, რომელსაც დღემდე წარმატებით ინარჩუნებს;
- 2019 წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ერთ-ერთმა პირველმა დანერგა „მშენებლობის მწარმოებლის“ დუალური პროგრამა.
- არის საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი;
- 2019 წლის 14 თებერვალს BTA საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაცია.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია(BTA) აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს:

- „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“;
- „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა“;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიერ შემუშავებული „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა“.

- აკადემიის ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი არის სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს სტიპენდიანტი.
- ჩვენი ორგანიზაციისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარტნიორების მოძიება, მათთან თანამშრომლობის დამყარება, რაც ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას.
- დაწესებულებას კერძო მფლობელობაში აქვს 3 საკუთარი შენობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით
- საწარმოო პრაქტიკები ხორციელდება წარმატებულ კომპანიებში, რაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობას აძლევს.
- კოლეჯში არის პროფესიონალი და კეთილგანწყობილი პერსონალი, საინტერესო სტუდენტური პროექტები, მრავალფეროვანი სასერტიფიკატო პროგრამები და სხვა მრავალი საინტერესო რამ, ერთიანობაში აკადემია სწავლისა და პროფესიული განვითარების მოტივაციას ქმნის.

BTA

I. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ხედვა:

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს.

ღირებულებები:

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა

01 სასწავლო კორპუსი

02 სასწავლო კორპუსი

03 სასწავლო კორპუსი

ქალაქი სანქტ-პეტერბურგი, ლენინ პოზარსკოეს ქუჩა, №50, №52

შპს. „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია"

საგანმანათლებლო ცენტრი

SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
○ გამართული მენეჯმენტის სიტემა; ○ საერთაშორისო ხარისხის სისტემა(ISO 9001:2015; IQN); ○ საკუთარი, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი შენობები(სამ ლოკაციაზე); ○ მეგობრული გუნდი ; ○ მრავალწლიანი გამოცდილება განათლების სფეროში; ○ თანამშრომელთა განვითარებასა და წახალისებაზე უწყვეტი ზრუნვა; ○ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები; ○ ზრუნვა ბრენდის პრიორიტეტებზე და უწყვეტ განვითარებაზე; ○ კონკურენტუნარიანობა; ○ რექტორის და ადმინისტრაციის ხშირი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან; ○ სახელწიფო პროექტებში/ტენდერებში აქტიური მონაწილეობა; ○ საერთაშორისო პროექტში მონაწილეობა; ○ დანერგილი სწავლების და შეფასების ელექტრონული სისტემა; ○ პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება. ○ გაზრდილი პოპულარობა; ○ მაღალი ხარისხის სტუდენტური სერვისები; ○ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მზარდი ოდენობა; ○ ფინანსური მხარდაჭერა სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი პირობები(ფასიანი პროგრამების შემთხვევაში); ○ საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება; ○ რეკრეაციული ზონების ხელმისაწვდომობა.	○ ადამიანური რესურსების სიმცირე; ○ პროფესიულ სტუდენტთა სწავლისადმი დაბალი მოტივაცია; ○ ახალი თანამშრომლების მოძიების პროცესში სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მოწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
○ ინფრასტრუქტურის განვითარება; ○ საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება; ○ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის გაზრდა; ○ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; ○ ახალ პროექტებში /ტენდერებში მონაწილეობა; ○ პერსონალის დატრენინგება და წახალისება საჭიროებების გათვალისწინებით; ○ სახელმწიფო დაფინანსების მოდელში მონაწილეობა; ○ პერსონალის რაოდენობის გაზრდა; ○ დამატებითი ფინანსების მოზიდვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება ○ პროფესიული განვითარების პროგრამების შესაძლებლობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის; ○ სახელმწიფო პრიორიტეტი/დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართ; ○ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება; ○ პარტნიორთა ძლიერი ქსელის შექმნა.	○ ავტორიზებული პროფესიული პროგრამების გაუქმება; ○ სახელმწიფოს მხრიდან ხშირი რეფორმა, რაც იწვევს პროგრამებში, დოკუმენტაციაში ცვლილებებს; ○ პროფესიულ სტუდენტთა გადინება; ○ არაჯანსაღი კონკურენცია; ○ ახალგაზრდების დაბალი მოტივაცია სწავლისადმი

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
1.04.2022-1.04.2029

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება									
1.საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება	• შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება	01;02; 03							
	• ყოველწლიურად მინიმუმ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების ხარისხის განვიოთარების ცენტრში შეტანილი განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე და დადებითი გადაწყვეტილება;	01; 02; 03							
	• USAID და ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულია ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლა და მოპოვებულია განხორციელების უფლება 12 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამაზე	01; 03 პროექტის გუნდი							
	• საჩხერის ლოკაციაზე გახსნილია საგანმანათლებლო ჰაბი, განხორციელებულია ახალ შენობაში გადასვლა/ფართის ცვლილება;	01; 03							
2.ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსების განვითარება	• მინიმუმ 10%-ით განახლებულია სასწავლო და სამუშაო გარემო;	01; 03;							
	• ყოველწლიურად მინიმუმ 3%-ით გაზრდილი/განახლებული/გაციფრულებულია საბიბლიოთეკო რესურსები; • ყოველწლიურად შექმნილია მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო რესურსები ან/და აკადემიას მიღებული აქვს შექმნაში მონაწილეობა;	01; 02; 03; 20							
	• მოწყობილია/განახლებულია სარეკრეაციო/სტუდენტური სივრცეები	01; 02; 03							
	• დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; შენარჩუნებულია ნულოვანი ინციდენტი; ჩატარებულია შესაბამისი ინსტრუქტაჟები; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;	01; 07							
	• საჩხერის ლოკაციაზე აშენებულია, თანამედროვე სტანდარტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მოწყობილი შესაბამისი საგანმანათლებლო კამპუსი და საერთო საცხოვრებელი;	01; 03; 09;							
	• ფუნქციონირებს საერთო საცხოვრებელი(კამპუსი)	01; 03; 09;							
	• დაწესებულებაში ამოქმედებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	07; 08							
	• ჩატარებულია ინვენტარიზაცია და დამტკიცებული ინვენტარიზაციის დოკუმენტი	01;19							

3.პერსონალის განვითარება	• მინიმუმ თითო ახალი პერსონალის დამატება ადმინისტრაციულ რგოლში თბილისსა და საჩხერეში;	01;16							
	• თითოეულ პროგრამაზე მინიმუმ თითო ახალი დარგის განმახორციელებლის დამატება;	01;16							
	• პერსონალის კმაყოფილების დონე განისაზღვრება მინიმუმ 85 %;	01;16							
	• შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 80%;	01;16							
	• პერსონალის მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 80% განხორციელებული;	01;02;03;04; 05;16							
	• განხორციელებულია პერსონალის მამოტივირებელი/წამახალისებელი ღონისძიებები;	01;16							
4.ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა	• სტუდენტთა და მსმენელთა რაოდენობის მაქსიმალიზაცია;	01;02;03							
	• მინიმუმ 1 ტენდერის/საგრანტო პროექტის განხორციელება;	01							
	• შემოსავლის გაზრდილი ოდენობა მინიმუმ 20%-ით;	01							
5.საინფორმაციო რესურსების მართვა	• საგანმანათლებლო/სამუშაო პროცესი უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით, დაცულია ინფორმაციული უსაფრთხოება;	01; 09; 07							
	• საქმისწაროება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;	01; 13							
	• ყოველწლიურად განახლებული კატალოგი;	01; 02							
	• ვებ-გვერდი/სოციალური ქსელის გვერდი გონივრულ ვადებში ასახული ინფორმაციით;	01; 06							
	• ელექტრონული მართვის სისტემაში(emis) ასახული კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია.	01; 02;03; 14							
6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება/ანგარიშგება	• განხორციელებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგება;	01;02;03;04;05							
	• შემუშავებული ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.	01;02;03							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება									
1.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა აუდიტი	• ხუთივე სტანდარტში განხორციელებულია თვითშეფასება; • ანალიზის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებულია რეაგირებები; • საჭიროების შემთხვევაში სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება/სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება; • ხარისხის შეფასების შედეგები გაცნობილია დაინტერესებული მხარეებისათვის; • საჭიროებისამებრ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.	• 01;04;05							
	• ჩატარებულია სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა. • პროგრამის განმახორციელებელ პირთა კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა. • ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა. • ჩატარებულია კურსდამთავრებულთა კვლევა, წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში; • გამოკითხულია თითოეული მიზანჯგუფის მინიმუმ 60%, წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიში;	• 01;04;05							
	• ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუმჯობესების რეკომენდაციები/გეგმა;	• 01;04;05							
2.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე აუდიტი	• გარე აუდიტის დასკვნა; • შენარჩუნებული საერთაშორისო ნიშანი ISO9001:2015 ; •	• 01;04;05							
	• ავტორიზაციის /პროგრამის დამატების/ფართის ცვლილების/მონიტორინგის/	• 01;04;05							

	სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება;								
	• საჭიროებების გათვალისწინებით განახლებული დოკუმენტაცია;	• 01;04;05							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 3 . პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა და მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება									
1.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა;	• მინიმუმამდე დაყვანილი საჩივარი/პრეტენზია (პროფ. სტუდენტის/მსმენელის მხრიდან) არაუმეტეს წლის მანძილზე1; • პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების დონის მაჩვენებელი განისაზღვრება არანაკლებ 75 %; • სასწავლო წლის/პროგრამის დასაწყისში ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საკონსულტაციო გაცნობითი შეხვედრა; • ჩარიცხული სტუდენტების/მსმენელების გადინების მაჩვენებლების შემცირება;	01;02;03							
	• თვითმმართველობის ორგანიზებით, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობით, ჩატარებულია მინიმუმ 2 ღონისძიება.	01; 02; 03;							
	• სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად სტუდენტის/მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით	01;02;03							
2.სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება	• სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები • გამოიყენება სწავლების ელექტრონული პლატფორმა; გამოიყენება შეფასების ელექტრონული პლატფორმა •	01;02;03							
	• ყოველწლიურად ჩატარებულია თითოეულ მიმართულებაში/დარგში მინიმუმ 1 მასტერკლასი;	01;02;03							
3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულ	• სტუდენტთა/მსმენელთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფისათვის აკადემიის ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებულია სხვადასხვა პროფილის ვაკანსიები;	01;02;03							
	• მინიმუმ 1 დასაქმების ფორუმში მონაწილეობა ან/და დაგეგმვა-განხორციელება	01;02;03							

თა მხარდაჭერის სისტემის განვითარება	აკადემიის სივრცეში;								
	• დამატებულია მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები	01.02.03.04							
	• დაფინანსებულია მინიმუმ 1 სტუდენტური ინიციატივა/პროექტი;	01							
	• ყოველწლიურად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მიზნით ჩატარებულია მინიმუმ 5 ექსტრაკურიკულარული აქტივობა.	01;02;03							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება									
1.ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე ზრუნვა	• ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 ღია კარის დღე;	01;02.03.06							
	• ყოველწლიურად ვებ-გვერდის და სოციალური გვერდების განახლება, მოქნილობის და ინფორმატიულობის კუთხით;	01;06							
	• ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 საიმიჯო ღონისძიება.	01;06							
2.ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა	• ყოველწლიურად საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით განხორციელებულია მინიმუმ 1 საინფორმაციო ვიზიტი.	01;06							
	• ყოველწლიურად საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მონაწილეობა მიღებულია მინიმუმ 1 კონფერენციაში/პროექტებში ;	01;06							
	• მინიმუმ ერთი უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია.	01;02;03							
3. სასწავლო - სამეწარმეო სისტემის განვითარება	• ყოველწლიურად დარგობრივი მიმართულებებით მინიმუმ ერთი ახალი პრაქტიკის ობიექტის დამატება;	01;02;03;06							
	• შექმნილია მინიმუმ თითო დარგობრივი სასწავლო-საწარმო;	01							
	• ყოველწლიურად სასწავლო-საწარმოში ჩართულია მინიმუმ 3 პროფესიული სტუდენტი;	01							

პასუხისმგებელი პირების გრაფაში მითითებული კოდების განმარტება:

პოზიციის დასახელება	კოდი
რექტორი	01
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	02
რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება)	03
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	04
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	05
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	06
შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	07
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	08
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	09
კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი	10
სასწავლო პროცესის მენეჯერი	11
სასწავლო პროცესის სპეციალისტი	12
საქმისწარმოების მენეჯერი	13
რეესტრის წარმოების სპეციალისტი	14
სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი	15
ადამიანური რესურსების მენეჯერი	16
სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი	17
ბიბლიოთეკარი	18
ბუღალტერი	19
პროგრამის ხელმძღვანელი	20
პროფესიული განათლების მასწავლებელი	21
სასერთიფიკატო პროგრამის განმახორციელებელი პირი	22
დაცვის სპეციალისტი	23
დასუფთავების სპეციალისტი	24